სკვეთი თოვლისა ბრიალი ფონტი

287 1 154

287 1 154

რედაქციას უპასუხებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

გაზეთ „თბილისის“ 1986 წლის 4 ნოემბრის ნომერში (№ 254) გამოქვეყნებულ წერილთან — „ამას რაც ჰქვია, ყველამ ვიცით...“ დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ იმავე წლის 10 ნოემბერს აღძრა საკითხი სათანადო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის წინაშე, რათა დადგენილიყო პროფ. ა. ს. თოფურიას ხუთგზის გამოცემული სახელმძღვანელოს „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ წინაალმდეგ სტატიის ავტორის მიერ წაყენებული ბრალდება პლაგიატორობის შესახებ.

სამინისტრომ, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, ექსპერტების დასკვნები გადაუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს. რექტორატის ბრძანებით გამოყოფილი კომისიის დასკვნების (დამტკიცებულია ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს 1987 წლის 27 აპრილის სხდომაზე — ოქმი № 8), ლიტერატურული ექსპერტების და სხვა მასალების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი კომისიები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუმცა, წერილში მითითებული შენიშვნები მეტწილად მართებულია, შრომის ავტორი მაინც ვერ ჩაითვლება პლაგიატად.

დაფარული სავალი გზები, რომ ადამიანს კისრის მოტეხა არ
ემუქრებოდეს?

ცალკე დაფიქრება სჭირდება საქალაქო ტრანსპორტის გამართულ მუშაობასაც: ეს სამსახურიც ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს მომავალ ზამთარს. საქალაქო ტრანსპორტის კარგად მუშაობა ქალაქის ცხოვრების შეუფერხებელი რიტმის ერთი უცილობელი პირობაა. ამ მხრივაც ბევრი პრეტენზია ჰქონდათ შარშან თბილისელებს. მაგრამ ეს იყო შარშან: იგივე მდგომარეობა იქნება წლეულსაც? ეს კითხვა ყველა თბილისელს აინტერესებს და, ვინძლო, სათანადო სამსახურების ხელმძღვანელებმა ამთავითვე უპასუხონ მათ გაზეთის საშუალებით. ვნახოთ, რა გველის, რა გვიჭირს. თუკი ხელშემშლელი მიზეზები არსებობს, იქნებ საჯაროობის სიკეთე გამოვიყენოთ და დაუფარავად ვთქვათ, რისი გაკეთება შეგვიძლია, რისი — არა. თუ რაიმე ისეთი დაბრკოლებაა, რასაც სწრაფად ვერ მოევლება, ხალხს ნუ დავუმალავთ და წინასწარ ვუთხრათ. ჩვენი ხალხი გამგებია, შეგნებული და დაგვაცდის, არ დაგვახრჩობს. ამას ვამბობთ ყველა იმ სამსახურის ხელმძღვანელთა და მუშაკთა გასაგონად, რომელთა უნარიანმა, გულისხმიერმა და გონივრულმა საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს ზამთრის პერიოდში ქალაქის რიტმული ცხოვრება, დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები.

ჩავთვალოთ, რომ ეს წერილი იმ დიდი საუბრის დასაწყისია, რომელსაც ჩვენი გაზეთი დღეიდან იწყებს რუბრიკით: „როგორ ვემზადებით ზამთრისათვის?“ იმედია, საუბარში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს მკითხველიც, ის, ვისთვისაც ეს საუბარი იწყება.